

შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად



შპს „აუდიტორული კომპანია ექსპერტი“

ს/ნ 412693722

ტელ: 599 11 83 41

E-mail: janelidze_lela@yahoo.com

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“-ს დამფუძნებელს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“-ს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტით გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მსს ფასის სტანდარტის მიხედვით.

მოსაზრების საფუძვლები

აუდიტს წავმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“-სგან დამოუკიდებელი ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



შპს „აუდიტორული კომპანია ექსპერტი“

ს/ნ 412693722

ტელ: 599 11 83 41

E-mail: janelidze_lela@yahoo.com

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასის სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობების რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით. რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას,



შპს „აუდიტორული კომპანია ექსპერტი“

ს/ნ 412693722

ტელ: 599 11 83 41

E-mail: janelidze_lela@yahoo.com

ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხო პოლიტიკას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებული აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“ გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნებში არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას, თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“ აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს. განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას

კომპანიის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, კომპანიის ხელმძღვანელობას წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და თუ შესაძლებელია წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

ხელმძღვანელობასთან წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური



შპს „აუდიტორული კომპანია ექსპერტი“
ს/ნ 412693722
ტელ: 599 11 83 41
E-mail: janelidze_lela@yahoo.com

ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, აღნიშნულ საკითხებს აღწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროება, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადაწყვეტთ რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონიერულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის შიშარტ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ლელა ჯანელიძე

ლელა ჯანელიძე

შპს „აუდიტორული კომპანია ექსპერტი“-ს სახელით.

26 ივნისი 2019 წელი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიში.....	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში.....	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	<u>31.12.2018</u>	<u>31.12.2017</u>	<u>01.01.2017</u>
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	10	1,644,563	987,038	376,928
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,717,358	1,754,393	1,462,072
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12	228,272	139,786	93,478
სულ მიმდინარე აქტივები		<u>3,590,193</u>	<u>2,881,218</u>	<u>1,932,478</u>
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	4,356,189	5,413,447	4,426,160
საინვესტიციო ქონება	9	1,794,000		
სხვა არამატერიალური აქტივები		1,746	1,746	1,746
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>6,151,935</u>	<u>5,415,193</u>	<u>4,427,906</u>
სულ აქტივები		<u>9,742,128.41</u>	<u>8,296,412</u>	<u>6,360,384</u>
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	248,885	157,783	161,273
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	13	6,175	20,731	1,787
საგადასახადო ვალდებულებები	14	20,334	4,773	49,246
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	15	119,168		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>394,562</u>	<u>183,288</u>	<u>212,306</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	15		411,325	627,405
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>-</u>	<u>411,325</u>	<u>627,405</u>
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		7,701,799	5,075,410	3,281,612
განაწილებული დივიდენდი	16	- 984,211		
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		2,629,979	2,626,388	2,239,062
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>9,347,567</u>	<u>7,701,799</u>	<u>5,520,674</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>9,742,128.41</u>	<u>8,296,412</u>	<u>6,360,384</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	<u>31.12.2018</u>	<u>31.12.2017</u>	<u>01.01.2017</u>
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	10	1,644,563	987,038	376,928
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,717,358	1,754,393	1,462,072
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12	228,272	139,786	93,478
სულ მიმდინარე აქტივები		<u>3,590,193</u>	<u>2,881,218</u>	<u>1,932,478</u>
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	4,356,189	5,413,447	4,426,160
საინვესტიციო ქონება	9	1,794,000		
სხვა არამატერიალური აქტივები		1,746	1,746	1,746
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>6,151,935</u>	<u>5,415,193</u>	<u>4,427,906</u>
სულ აქტივები		<u>9,742,128.41</u>	<u>8,296,412</u>	<u>6,360,384</u>
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	248,885	157,783	161,273
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	13	6,175	20,731	1,787
საგადასახადო ვალდებულებები	14	20,334	4,773	49,246
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	15	119,168		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>394,562</u>	<u>183,288</u>	<u>212,306</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	15		411,325	627,405
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>-</u>	<u>411,325</u>	<u>627,405</u>
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		7,701,799	5,075,410	3,281,612
განაწილებული დივიდენდი	16	984,211		
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		2,629,979	2,626,388	2,239,062
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>9,347,567</u>	<u>7,701,799</u>	<u>5,520,674</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>9,742,128.41</u>	<u>8,296,412</u>	<u>6,360,384</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



შპს ჯი ეს ემ ტრანსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი</u> <u>2018 წელი</u>	<u>31 დეკემბერი</u> <u>2017 წელი</u>
	-	-	
ამონაგები	7.1	8,448,327	10,003,231
სხვა შემოსავალი	7.1	754,101	82,380
არა საოპერაციო შემოსავალი		1,396	
გამოყენებული ნედლეული და მასალა		(45,097)	(21,361)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელო	7.2	(1,281,001)	(1,422,773)
ცვეთა და ამორტიზაცია	7.2	(304,334)	(245,205)
სხვა ხარჯები	7.2	(4,943,413)	(5,769,884)
მოგება დაბეგრამდე		2,629,979	2,626,388
მოგების გადასახადის ხარჯი			
მიმდინარე წლის მოგება			
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს			

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს „ჯი ეს ემ ტრანსი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
ამონაგები	7.1	8,448,327	10,003,231
სხვა შემოსავალი	7.1	754,101	82,380
არა საოპერაციო შემოსავალი		1,396	
გამოყენებული ნედლეული და მასალა		(45,097)	(21,361)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელო	7.2	(1,281,001)	(1,422,773)
ცვეთა და ამორტიზაცია	7.2	(304,334)	(245,205)
სხვა ხარჯები	7.2	(4,943,413)	(5,769,884)
მოგება დაბეგვრამდე		2,629,979	2,626,388
მოგების გადასახადის ხარჯი			
მიმდინარე წლის მოგება			
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს			


დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი



ფინანსური დირექტორი

რ. ზანაძე



შპს ჯი ეს ემ ტრანსი

ფულადი ნაკადების ანგარიში
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31/12/2018	31/12/2017
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8,609,495.10	9,616,801
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(5,091,882.38)	(5,707,653)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(993,895.61)	(1,078,123)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(302,487.22)	(286,118)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(3,166)	(5,164)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>2,218,064</u>	<u>2,492,560</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შეიღობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით ძირითადი საშუალებების შეძენა	(419,534)	(1,402,708)
არამატერიალური აქტივების შეძენა		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	31,490	156,280
მიღებული პროცენტები	30,649	17,114
მიღებული დივიდენდები		
<u>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(357,394)</u>	<u>(1,229,313)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება		
მოკლევადიანი სესხების დაფარვა		
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები		
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება(ერთ)		
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	(294,152)	(196,061)
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(20,988)	(35,303)
გადახდილი დივიდენდები	(935,000)	(423,000)
გადახდილი მოგების წილი ერთობრივი საქმიანობიდან		
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-	-
<u>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(1,250,140)</u>	<u>(654,363)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	46,995	1,227
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	657,524	610,111
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	987,038.31	376,928
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის</u>	<u>1,644,563</u>	<u>987,038</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

6-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ჯი ეს ემ ტრანსი

ფულადი ნაკადების ანგარიში
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31/12/2018	31/12/2017
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8,609,495.10	9,616,801
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(5,091,882.38)	(5,707,653)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(993,895.61)	(1,078,123)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(302,487.22)	(286,118)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(3,166)	(5,164)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>2,218,064</u>	<u>2,492,560</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(419,534)	(1,402,708)
არამატერიალური აქტივების შეძენა		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	31,490	156,280
მიღებული პროცენტები	30,649	17,114
მიღებული დივიდენდი		
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(357,394)</u>	<u>(1,229,313)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება		
მოკლევადიანი სესხების დაფარვა		
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები		
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება (ერთ)		
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	(294,152)	(196,061)
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(20,988)	(35,303)
გადახდილი დივიდენდები	(935,000)	(423,000)
გადახდილი მოგების წილი ერთობრივი საქმიანობიდან		
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)		
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(1,250,140)</u>	<u>(654,363)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	46,995	1,227
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	657,524	610,111
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	987,038.31	376,928
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>1,644,563</u>	<u>987,038</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



შპს "ჯი ეს ემ ტრანსი"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით		5520674		5520674
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				0
ქონების გადაფასება				0
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		2626388		2626388
განაწილებული დივიდენდი		-445263		-445263
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		7701799		7701799
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	0	0	0
ქონების გადაფასება	-	0	0	0
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	2629979	0	2629979
განაწილებული დივიდენდი	-	-984211	0	-984211
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	9347567	0	9347567

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შპს "ჯი ეს ემ ტრანსი"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	5520674		5520674
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			0
ქონების გადაფასება			0
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	2626388		2626388
განაწილებული დივიდენდი	-445263		-445263
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7701799		7701799
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	- 0	0	0
ქონების გადაფასება	- 0	0	0
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	- 2629979	0	2629979
განაწილებული დივიდენდი	- -984211	0	-984211
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	- 9347567	0	9347567

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჰესის დასახლება, მ. წინამძღვრიშვილის ქ., N20.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობის სახეა სატვირთო საგზაო ტრანსპორტი და გადაზიდვის მომსახურება. კომპანიის დამატებითი საქმიანობის სახეა უძრავი ქონების იჯარით გადაცემა.

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 17 დეკემბრიდან. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად „კომპანია“ რეგისტრირებულია 2007 წლის 10 თებერვლიდან. „კომპანიის“ დირექტორი დაფუძნებიდან დღემდე არის ელგუჯა სოზაშვილი.

„კომპანიის“ პარტნიორები არიან :

ელგუჯა სოზაშვილი (პ/ნ 01029008999) – 50% წილით;

დავით მაზანაშვილი (პ/ნ 01029001405) – 25% წილით;

დემნა სოზაშვილი (პ/ნ 01019067958) – 25% წილით.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად 2019 წლის 26 ივნისს

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით . ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

„კომპანიის“ მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ფინანსური აღრიცხვის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად ხდება პირველად. მსს ფასის 35 მუხლის თანახმად სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი.

3. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. „კომპანიას“ აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებად საწარმომ. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის ასე მოიქცეს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ მომგებიანია, ასევე „კომპანია“ წარსულში მომგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

- a) „კომპანია“ წარსულშიც და დღესაც მომგებიანია.
- b) 2018 წელს „კომპანიამ“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
- c) 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 ამონაგების აღიარება

„კომპანიისთვის“ ამონაგები არის შემოსავალი, რომელსაც იღებს მომსახურების გაწევიდან და ქონების იჯარის გაცემით.

„კომპანიის“ მიერ ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას. „კომპანია“ ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიან თანხას.

„კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციას საიმედოდ აფასებს მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
 - ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
 - გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს და
 - დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
- თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ „კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ფინანსური ინსტრუმენტები

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფულადი სახსრების, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების და სასესხო მოთხოვნების/ვალდებულებების სახით.

ფინანსურ აქტივს და ფინანსურ ვალდებულებას „კომპანია“ პირველად აღიარებს გარიგების ფასით. ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში „კომპანია“ მოთხოვნას აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც სახელშეკრულებო თანხის ტოლია. ხოლო გრძელვადიანი მოთხოვნების შემთხვევაში მოთხოვნა აღიარდება მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები აღიარდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის/მომსახურების შეძენის შემთხვევაში ვალდებულებას კომპანია აღიარებს მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

„კომპანია“ ყოველი ფინანსური აქტივისათვის აფასებს გაუფასურებას ან თანხის ამოღების შეუძლებლობას.

ფინანსური აქტივის და ვალდებულებების აღიარება წყდება თუ „კომპანიისთვის“ ცნობილი გახდა გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენები:

- ა) ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

ბ) დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

გ) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც „კომპანია“ მიიღებდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

4.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად. ძირითად საშუალებაზე სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად :

დასახელება	მომსახურების წლები
შენობა-ნაგებობები	25-50
ინვენტარი	5-15
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	5-17
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-17
სატრანსპორტო საშუალებები	13-15

თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. კომპანია არამატერიალური აქტივის სახით ფლობს საბუღალტრო პროგრამას.

4.4 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის „კომპანია“ იყენებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდს.

4.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის

ფარდგლებში „კომპანიის“ მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

4.6 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც „კომპანია“ ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდისთვის. „კომპანია“ საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასს და ნებისმიერ დანახარჯებს. საინვესტიციო ქონებას „კომპანია“ აფასებს ყოველი საანგარიშო თარიღისათვის რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, „კომპანია“ ამ აქტივს აღრიცხავს მის ფასს სტანდარტის მე-17 განყოფილების შესაბამისად, მანამ სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი.

ქონების საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადატანას ან პირუკუ „კომპანია“ ახდენს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქონება პირველად დააკმაყოფილებს საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს, ან პირიქით, როდესაც პირველად ვეღარ დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.

4.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალების, არამატერიალური აქტივები და სახვა აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია , საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ, შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის ძირითადი საშუალების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, „კომპანიის“ მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. გადასახადები

5.1 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვეო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის პირველი იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ დამფუძნებლებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღის ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან , რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების

გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ხარჯების“ სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

„კომპანიის“ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით განთავსებულია დღგ-ის გადასახადისგან ჩათვლის უფლებით.

5.3 საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

6. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები.

ანარიცხები

„კომპანია“ ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

„კომპანია“ ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მსს ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორიცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირება ხდება მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის ღირებულებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში, ვინაიდან რესურსის გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივი

„კომპანია“ არ აღიარებს პირობით აქტივს. ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ექვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

7. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.

7.1 საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება :

ამონაგები	31.12.2018	31.12.2017
<i>შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან</i>	8,228,833	9,835,868
<i>შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან</i>	59,817	24,778
<i>შემოსავალი იჯარიდან</i>	159,677	142,586
<u>ჯამი</u>	<u>8,448,327</u>	<u>10,003,231</u>

სხვა შემოსავლები

	31.12.2018	31.12.2017
<i>საპროცენტო შემოსავალი</i>	30,649	17,114
<i>დადებითი საკუროსო სხვაობა</i>	27,913	65,266
<i>საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით გამოწვეული სხვაობა</i>	695,539	
<i>სხვა არასაოპერაციო შემოსავლები</i>	1,396	
<u>ჯამი</u>	<u>755,497</u>	<u>82,380</u>

7.2 ხარჯები მოიცავს შეძენილ მომსახურებას და სხვა საოპერაციო ხარჯებს. მათი შემადგენლობა ასეთია :

ხარჯები	31.12.2018	31.12.2017
საოპერაციო ხარჯები	- 2,325,850	- 2,792,440
გაყიდული/შეძენილი საქონელი	- 45,097	- 21,361
მიწოდების ხარჯები	- 1,359,670	- 1,372,129
შრომითი ანაზღაურება	- 1,281,001	- 1,422,773
მივლინების ხარჯები	- 628,905	- 970,621
ტექდათვალიერება	- 7,720	- 6,724
სახმელეთოს ნებართვები	- 40,449	- 28,297
სამეურნეო ხარჯი	- 4,959	- 4,312
რემონტის ხარჯი	- 328,598	- 300,370
საკანცელარიო ხარჯები	- 1,887	- 2,005
სახელფასო სარგებელი	- 15,058	-
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯები	- 29,137	- 21,327
იურიდიული და ნოტარიული ხარჯები	- 10,903	- 3,229
დაზღვევა	- 23,795	- 35,845
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	- 1,063	- 163
საკონსულტაციო ხარჯები	- 144	- 555
ცვეთა და ამორტიზაცია	- 304,334	- 245,205
ქველმოქმედება	- 385	- 770
სხვა საგადასახადო და საბაჟო ხარჯი	- 64,188	- 45,490
საბანკო ხარჯები	- 13,092	- 14,574
ძირითდი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	- 19,709	- 11,783
საპროცენტო ხარჯები	- 20,988	- 35,303
დოკუმენტურად დაუსაბუთებელი ხარჯი	- 2,362	- 9,404
საგადასახადო ხარჯი (მოგება)	- 13,928	- 16,070
სხვა ხარჯები	- 2,035	- 1,563
გადახდილი ჯარიმები და საურავები	- 1,935	- 390
საეჭვო მოთხოვნები	- 26,652	- 96,522
<u>სულ</u>	<u>- 6,573,845</u>	<u>- 7,459,223</u>

8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

8.1 გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

მთლიანი საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობა 1	შენობა 2	შენობა 3	დაუმთავრებელი მშენებლობა	ნაგებობები	ინვენტარი	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება	1,274,163	986,047	-	184,568	2,153	-	-	5,466	26,797	36,482	2,647,916	5,163,592
დაგროვილი ცვეთა	-	57,483	-	21,494				1,121	9,556	8,529	639,248	737,432
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	1,274,163	928,564	-	163,074	2,153	-	-	4,345	17,241	27,954	2,008,668	4,426,160
მიღებულია / საკუთრი ძალით შექმნილი 2017 წლის საანგარიშო პერიოდში	-		599,202			221,813	60,762	22,218	6,398	2,397	489,917	1,402,708
დარიცხული ცვეთა	-	19,654		977			1,998	1,976	2,464	2,673	215,464	245,205
კაპიტალიზირება					2,153							2,153
გასული	-			162,097					672	3,870	1,424	168,063
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	1,274,163	908,910	599,202	-	(0)	221,813	58,765	24,587	20,503	23,809	2,281,697	5,413,447
მიღებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში						9,428		11,456			410,465	431,349
დარიცხული ცვეთა		19,654	12,186			4,436	6,799	3,469	3,302	2,760	251,729	304,334
გასული	-	-						-	-	-	85,811	85,811
რეკლასიფიკაცია	209,206	889,255										1,098,461
ნარჩენი ღირებულება	1,064,957	0	587,016	-		226,804	51,965	32,574	17,201	21,049	2,354,623	4,356,189
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,064,957	0	587,016	-		226,804	51,965	32,574	17,201	21,049	2,354,623	4,356,189

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო, საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე

ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში ან შემდეგში.

მიწა

	ს/კ	საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთი 1	72.12.02.507	459,822.00
მიწის ნაკვეთი 2	72.12.02.508	605,135.00
		<u>1,064,957.00</u>

შენიშვნა 9

საინვესტიციო ქონება

2018 წლის საანგარიშო პერიოდში „კომპანიის“ მიერ მოხდა ძირითად საშუალებების საინვესტიციო ქონებაში რეკლასიფიკაცია. საინვესტიციო ქონება „კომპანიის“ მიერ შეფასებულია რეალური ღირებულებით. ღირებულების განსაზღვრა მოხდა „კომპანიის“ მიერ შედარების მეთოდზე დაყრდნობით. გამოწვეული სხვაობა აისახა მოგება ზარალში

	საკადასტრო კოდი	მისამართი	კვ.მ	ისტორიული ღირებულება		დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	ნარჩენი ღირებულება 31.12.2018 წელი	საბაზრო ღირებულება 31.12.2018 წლისათვის	
				კვ.მ	სულ			კვ.მ	სულ
მიწის ნაკვეთი	01.12.03.007/051	შატლი ქ. #3	3446	60.709808	209,206.00		209,206.00	266.98	920,000.00
შენობები	საწყობი		1202.3	434.60	522,516.30	53,122.51	469,393.79	449.14	540,000.00
	გარაჟი		125.3	258.11	32,341.38	3,288.05	29,053.33	303.27	38,000.00
	ეზო		106.1	797.46	84,610.19	8,602.02	76,008.17	631.48	67,000.00
	ოფისი		288	691.48	199,147.28	20,271.77	178,875.51	510.42	147,000.00
	კვების ობიექტი		170.3	865.72	147,431.43	11,507.12	135,924.31	481.50	82,000.00
	<u>სულ</u>	-			<u>986,046.58</u>	<u>96,791.47</u>	<u>889,255.11</u>		<u>874,000.00</u>

შენიშვნა 10

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

№ დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ვალუტა	კურსი 31.12.2018	ნაშთი ლარში 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017	ვალუტა	კურსი 31.12.2017	ნაშთი ლარში 31.12.2017
1 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,282.74	ლარი	1.0000	2,283	4,152.77	ლარი	1.0000	4,152.77
2 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში/ აშშ დოლარი	3,150.29	აშშ	2.6766	8,432	3,235.29	აშშ	2.5922	8,386.52
3 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში/რუს. რუბლი.	155,588.55	რუბ	0.0386	6,004	179,750.00	რუბ	0.044935	8,077.07
საბანკო ანგარიშები								
4 GEL სს ტერაბანკი - სს ტერაბანკი	-		1.0000	-	-		1.0000	
5 39036020100001 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	18.43	ლარი	1.0000	18	32.61	ლარი	1.0000	32.61
6 25836978 - ს.ს "ბაზის ბანკი"	36,653.57	ლარი	1.0000	36,654	17,505.87	ლარი	1.0000	17,505.87
7 1EUR- ს.ს. ბაზის ბანკი	211,360.73	ევრო	3.0701	648,899	101,193.76	ევრო	0.031044	314,145.91
8 RUR ბაზის ბანკი - RUR სს ბაზის ბანკი	276.54	რუბ	0.0386	11	111,548.35	რუბ	4.4935	5,012.43
9 USD სს ტერაბანკი - სს ტერაბანკი	1,218.68	აშშ	2.6766	3,262	-	აშშ	2.5922	-
10 1 USD - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	36.86	აშშ	2.6766	99	19.73	აშშ	2.5922	51.14
11 USD-ს.ს ბაზის ბანკი - ს.ს "ბაზის ბანკი"	261,036.38	აშშ	2.6766	698,690	188,737.73	აშშ	2.5922	489,245.94
თანხები დეპოზიტზე								
12 39036020100001 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	15,776.34	ლარი	1.0000	15,776	21,977.73	ლარი	1.0000	21,977.73
13 USD - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	83,628.41	აშშ	2.6766	223,840	45,462.34	აშშ	2.5922	117,847.48
14 EUR - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	194.19	ევრო	3.0701	596	194.19	ევრო	3.1044	602.84
ჯამი				1,644,563				987,038

შენიშვნა 11

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	196,366	55,537
დებიტორული დავალიანება	1,500,498	1,681,920
თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	19,161	14,569
წინასწარ გადახდილი ხელფასი	1,333	2,368
ჯამი	<u>1,717,358</u>	<u>1,754,393</u>

შენიშვნა 12

სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მუხლში აღრიცხულია ის ნედლეული და მასალა, რომელსაც კომპანია იყენებს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯად.

შენიშვნა 13

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა :

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31.12.2018	31.12.2017
დავალიანება მომწოდებლებთან	- 248,769	- 156,798
სახელფასო ვალდებულებები	- 6,175	- 20,731
მიღებული ავანსი	- 59	
ვალდებულება საქვეანგარიშო პირებთან	- 56	- 985
ჯამი	<u>- 255,059</u>	<u>- 178,515</u>

შენიშვნა 14

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა :

საგადასახადო ვალდებულებები	31.12.2018	31.12.2017
<i>საშემოსავლო გადასახადი</i>	- 1,544	- 5,182
<i>დღგ</i>	- 7,896	7,084
<i>ქონების გადასახადი</i>	- 10,702	- 5,232
<i>მოგების გადასახადი (ესტონური ოდელი)</i>	- 193	- 1,443
<u>ჯამი</u>	<u>- 20,334</u>	<u>- 4,773</u>

შენიშვნა 15

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

„კომპანია“ აქვს აღებული სესხი უცხოურ ვალუტაში 2016 წლის საანგარიშო პერიოდიდან, 2017 წელს ის დაკვალიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი სესხი, ხოლო 2018 წელს შეეცვალა კლასიფიკაცია და გადავიდა მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებში.

სესხის დაფარვა მოხდა ვადაში 2019 წლის 25 იანვარს.

შენიშვნა 16

დივიდენდი

„კომპანია“ მიმდინარე პერიოდში დივიდენდს გაცემს 2008-2017 წლის 01 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 445 263 ლარი , ხოლო 2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 984 211 ლარი

1. პირობითი ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის „კომპანია“ აქვს ორი სასამართლო დავა.

1. მოსარჩელე არის შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“. მოპასუხე მხარე არის შპს „სადაზღვევო კომპანია აისი ჯგუფი“, დავის საგანი არის ზიანის ანაზღაურება. „კომპანია“ სადაზღვევო

კომპანიას ედავება ტვირთის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, რომლის საინვოისო ღირებულებამ შეადგინა 94 269,28 ევრო.

2. მოპასუხე არის შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“, მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ანდრეი შაპალოვი. დავის საგანი არის დაკარგული ტვირთით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მისმა ზარალმა მთლიანად შეადგინა 35 050 აშშ დოლარი და 580 ექვივალენტი ლარში. „კომპანიის“ მიერ დაქირავებულ იურისტს მიაჩნია, რომ ბრალდება დაუსაბუთებელია და „კომპანიას“ განზრახული აქვს შეეპასუხოს ამ სარჩელს. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის ანარიცხები, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზარალის წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

2. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც „კომპანია“ იყენებს მსს ფასს-ის სტანდარტზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. აქედან გამომდინარე, მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა.

3. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

„კომპანიას“ არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

4. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემული აქვს დივიდენდი 250 526,32 ლარი. აღნიშნული გაცემულია 2008-2017 წლის 01 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურებამ 2017 წელს შეადგინა 124 250 ლარი, ხოლო 2018 წელს - 126 375 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 26 ივნისს

კომპანიას ედავება ტვირთის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, რომლის საინვოისო ღირებულებამ შეადგინა 94 269,28 ევრო.

2. მოპასუხე არის შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“, მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ანდრეი შაპალოვი. დავის საგანი არის დაკარგული ტვირთით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მისმა ზარალმა მთლიანად შეადგინა 35 050 აშშ დოლარი და 580 ექვივალენტი ლარში. „კომპანიის“ მიერ დაქირავებულ იურისტს მიაჩნია, რომ ბრალდება დაუსაბუთებელია და „კომპანიას“ განზრახული აქვს შეეპასუხოს ამ სარჩელს. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის ანარიცხები, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზარალის წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

2. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც „კომპანია“ იყენებს მსს ფასს-ის სტანდარტზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. აქედან გამომდინარე, მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა.

3. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

„კომპანიას“ არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

4. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემული აქვს დივიდენდი 250 526,32 ლარი. აღნიშნული გაცემულია 2008-2017 წლის 01 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურებამ 2017 წელს შეადგინა 124 250 ლარი, ხოლო 2018 წელს - 126 375 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გაცა 2019 წლის 26 ივნისს.

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 ივნისს

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

